ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 54

ქ. თბილისი ივნისი 2022

ერთი მხრივ, **სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი** წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ რუსიშვილის სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი“) მეორე მხრივ, **შპს „მაი მობაილ+“** (ს/ნ 205294705), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ ბოკერიას სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: ლითონდასამუშავებელი ჩარხების ნაწილების და აქსესუარების შესყიდვა. **CPV:** 42674000.

1.2. შესყიდვის აღწერილობა და მოცულობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა (მონეტარული ზღვრების დაცვით).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: **4200.00** (ოთხი ათას ორასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელმა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 აგვისტოსი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილს წარმოადგენს შემსყიდველის მისამართი: ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. N8ბ

3.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდება მომსახურების გაწევის შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

5. უფლებების გადაცემა

5.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულებების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი2 ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადავო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, როცა იგი წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; **მისამართი:** ქ. თბილისი, მინდელის 8 ბ **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა; **ბანკის კოდი:** TRESGE22 ა.ა. სახაზინო კოდი 7 0879 7235 ს.კ. 211346444 **დირექტორი:** ზ. რუსიშვილი Zurab Rusishvili Digitally signed by Zurab Rusishvili Date: 2022.06.20 13:41:59 +04'00'	**მიმწოდებელი:** **შპს „მაი მობაილ +„** ს/კ 205294705 ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27გ; ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22 მიმღ: ანგ. №GE02PC0053600100019713 **მიმწოდებელი:** ზ. ბოკერია Zurab Bokeria Digitally signed by Zurab Bokeria Date: 2022.06.20 13:31:21 +04'00'

დანართი N1

ხელშეკრულების ობიექტი

N	**დასახელება**	**აღწერა**	**განზ. ერთ.**	**რაოდენობა**	**ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი**	**საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი**
1	ალმასის მოსახვეწი დისკები	ЧАО «Полтавский Алмазный Инструмент» N94624-17	ც	5	840.00	4200.00
					სულ:	**4200.00**